სამახსოვრო საარჩევნო ყუთის, ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატისა და სპეციალური ჩარჩო-კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრისთვის

(განკუთვნილია იმ საარჩევნო უბნისთვის, სადაც კენჭისყრა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ტარდება)

- მას შემდეგ, რაც დარწმუნდებით, რომ ამომრჩეველს სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში მხოლოდ ერთი საარჩევნო ბიულეტენი აქვს, ამომრჩეველს განუმარტეთ საარჩევნო ბიულეტენის ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონულ აპარატში მოთავსების წესი.

ყურადღება!

სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში მოთავსებული საარჩევნო ბიულეტენი ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის მეშვეობით ძირითად საარჩევნო ყუთში ისე უნდა მოთავსდეს, რომ შეუძლებელი გახდეს ამომრჩევლის მიერ გაკეთებული არჩევანის დანახვა.

- თუ ამომრჩეველი ვერ ახერხებს სპეციალური ჩარჩო-კონვერტის საშუალებით აპარატში საარჩევნო ბიულეტენის მოთავსებას, დაეხმარეთ მას.

ყურადღება!

- ✔ საარჩევნო ყუთთან ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩევლის მისვლა არ შეიძლება.
- ✔ დამკვირვებელს, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს უფლება აქვს, დააკვირდეს ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარატში სპეციალური ჩარჩო-კონვერტების საშუალებით საარჩევნო ბიულეტენის მოთავსებას.
- ✔ თუ ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატი უკან დააბრუნებს საარჩევნო ბიულეტენს, იგი ჩაითვლება გაფუჭებულად. გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენს ამომრჩევლის თანდასწრებით ჩამოეჭრება კუთხე, დაეწერება „გაფუჭებულია", ხელს მოაწერს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და ცალკე შეინახება. კომისიის თავმჯდომარის მითითებით ამომრჩეველთა რეგისტრატორი უცვლის ამომრჩეველს გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენს ახალი საარჩევნო ბიულეტენით.

- მას შემდეგ, რაც საარჩევნო ბიულეტენი ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის საშუალებით აღმოჩნდება ძირითად საარჩევნო ყუთში, მიუთითეთ ამომრჩეველს დატოვოს საარჩევნო უბანი.
- თვალყური ადევნეთ ამომრჩევლის მიერ სპეციალური ჩარჩო-კონვერტის საამისოდ განკუთვნილ მაგიდაზე მოთავსებას.
- უზრუნველყავით უკვე გამოყენებული სპეციალური ჩარჩო-კონვერტების გადაცემა ამომრჩეველთა რეგისტრატორებისათვის.